ქვეპროგრამის დასახელება: <u>სოციალურად დაუცველი 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება</u>

რა არის ქვეპროგრამის არსი?

18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ფინანსური დახმარების გაწევა.

ვინ არიან ქვეპროგრამის ბენეფიციარები?

სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 150 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულით ქ. თბილისში რეგისტრირებული 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები.

რას მოიცავს ქვეპროგრამა?

დახმარების ოდენობა წელიწადში 800 ლარს შეადგენს და ორჯერადად 400–400 ლარის ოდენობით (მაისი-დეკემბერი) გაიცემა.

როგორ უნდა მიიღოს ოჯახმა ბენეფიტი?

თანხა ირიცხება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან მოწოდებული ბაზის საფუძველზე, ოჯახის უფლებამოსილი პირის ანგარიშზე, შემდეგი პრინციპით:

- მაისის კუთვნილი თანხის ჩარიცხვა განხორციელდება აპრილის მონაცემთა ბაზის საფუძველზე, ოჯახის უფლებამოსილი პირის საბანკო ანგარიშზე, მომსახურე ბანკიდან ("თიბისი ბანკი") ბენეფიციარის სახელზე არსებული აქტიური ანგარიშის შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ.
- დეკემბრის კუთვნილი თანხის ჩარიცხვა განხორციელდება ნოემბრის მონაცემთა ბაზის საფუძველზე, ოჯახის უფლებამოსილი პირის საბანკო ანგარიშზე, მომსახურე ბანკიდან ("თიბისი ბანკი") ბენეფიციარის სახელზე არსებული აქტიური ანგარიშის შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ.